



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 163
17/12/2018

163-06-4-201812171116



ბრძანება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების - ლელა საჯაიას, ხათუნა ცერცვაძის, ქეთევან ვასაძის, მარიკა ჩხიკვიშვილის, მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები - ლელა საჯაია, ხათუნა ცერცვაძე, ქეთევან ვასაძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, მივლინებული იქნან ქ.თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამუშაო შეხვედრაზე, მუნიციპალიტეტს და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ, „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე“, ა/წ 17 და 18 დეკემბერს (ორი დღით).
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.#14).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დარჩია დავით

საკრებულოს თავმჯდომარე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო